საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 923

თბილისი „20“ 10 2017 წ.

2017 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტისა და „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 17 ოქტომბრის N1268116 წერილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2017 წლის 19 ოქტომბრის N1280003 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების ჩატარების განრიგად განისაზღვროს 2017 წლის 29 ოქტომბერი (09:00 საათიდან).

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

ალექსანდრე ჯეჯელავა